საიდ. №70541/03

IR 778861

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №98-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ლ. კერესელიძე, გ. დუდუჩავას მდივნობით, განიხილა კომპანია ,,სკორ სე" (სოსიეტე ეუროპიენ, საიდ. №98-03/14) (,,SCOR SE", societe europeenne) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის ბრძანების ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ" №761/03 ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს - ,,SCOR" (№70541/03 IR 778861) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მომსახურების 36-ე კლასის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (36-ე კლასი).

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის №761/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის

თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ,,SCOR" (საიდ. №70541/03 IR 778861) დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის ,,გიგი ოერი" (,,Gigi Oeri", მის.: Bruderholzrain 7, CH-4059 Basel) სახელზე 36-ე კლასის მომსახურებისათვის მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა ,,SCORT" (IR №1043826, 31/05/2010). წარდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და სასაქონლო ნიშნების პირველი ოთხი ასო ,,SCOR" არის მსგავსი. მათი ფონეტიკური მსგავსება ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ზემოთქმული წარმოადგენს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად ნიშნის დაცვაზე ნაწილობრივ უარის თქმის საფუძველს.

აღნიშნულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ საქართველოში მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის ,,გიგი ოერი" (Gigi Oeri), სახელზე დაცულია უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშანი ,,SCORT", (IR 1043826, 31.05.2010) 36-ე კლასის მსგავსი მომსახურებისათვის, რაც ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" პუნქტის თანახმად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.

აპელანტი კომპანიის „სკორ სე" (სოსიეტე ეუროპიენ) (SCOR SE (societe europeenne)) წარმომადგენელი გიორგი თაქთაქიშვილი არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის მოსაზრებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება, როგორც გრაფიკულად, ისე ფონეტიკურად. გრაფიკული თვალსაზრისით, განცხადებული ნიშანი კომბინირებულია (იხ. ნიშნის კოდები ვენის კლასიფიკაციის მიხედვით - 24.17.05; 27.05.01), წარმოადგენს სამ ელემენტიან გამოსახულებას, რომელთაგან ორი სტილიზებული ასოა „S" და „R", ხოლო მათ შორის მოთავსებულია სტილიზებული მათემატიკური - უსასრულობის აღმნიშვნელი - ნიშანი ∞, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს ხუთი სტანდარტული ლათინური ასოთი შესრულებულ აღნიშვნას SCORT. აპელანტის განმარტებით, ზემოთქმულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები ვიზუალურად სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან, შესაბამისად, არ არიან აღრევამდე მსგავსნი და გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა მომსახურების გამწევი კომპანიის მიმართ.

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. დაპირისპირებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „სკორტ“, მაშინ, როდესაც განცხადებული ნიშანი ქართულად ვერ გამოითქმის ზუსტად, ვინაიდან იგი შეიცავს გამოსახულებით ელემენტს და მხოლოდ დიდი მიახლოებით შეიძლება წაკითხული იქნას როგორც „სკორ“. შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ჟღერადობის შედარებაც კი, დიდ სიძნელეს წარმოადგენს და მით უმეტეს, ვერ იქნება აღრევამდე მსგავსი და აბსოლუტურად გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მომსახურების გამწევი კომპანიის მიმართ.

გარდა ამისა, აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებულ ნიშნებს არ გააჩნიათ სემანტიკური მნიშვნელობა.

ამდენად, ნიშნები სრულიად განსხვავებულია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია ,,სკორ სე“ (სოსიეტე ეუროპიენ), წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილ უმსხვილეს კომპანიას, რომელიც, ძირითადად, დაკავებულია დაზღვევისა და გადაზღვევის ოპერაციებით (იხ. დანართი N2 და კომპანიის ვებ გვერდი http://www.scor.com/en/). აპელანტი აცხადებს, რომ კომპანიის ,,გიგი ოერი”-ს (Gigi Oeri) შესახებ მონაცემები ვერ მოიძიეს

აპელანტის განმარტებით, აპელანტი კომპანია ,,სკორ სე” (სოსიეტე ეუროპიენ), უკიდურეს შემთხვევაში, თანახმაა შეზღუდოს 36-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი შემდეგნაირად: დაზღვევა და გადაზღვევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის ბრძანების ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ” №761/03 ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს - ,,SCOR” (№70541/03 IR 778861) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მომსახურების 36-ე კლასის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (36-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №98-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ

გარემოებათა გამო: კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,SCOR" (№70541/03 IR 778861) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ..SCORT" (IR 778861) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ამასთან, კოლეგია განმარტავს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები გარკვეულ წილად ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარში გაცხადებული პირობის შესაბამისად, აპელანტი თანახმაა შეზღუდოს 36-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი შემდეგნაირად: დაზღვევა და გადაზღვევა, კოლეგია მიიჩნევს, რომ აღარ იარსებებს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და შესაბამისად, ადგილი არ ექნება საქონლის/მომსახურების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შემთხვევას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,სკორ სე"- (სოსიეტე ეუროპიენ) (SCOR SE (societe europeenne)) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 აპრილის №761/03 ბრძანება, იმ ნაწილში რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SCOR" (№70541/03, IR 778861) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 36-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SCOR" (№70541/03, IR 778861) მიენიჭოს დაცვა საქართველოში, ასევე 36-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: ,,დაზღვევა და გადაზღვევა" (Insurance and Reinsurance).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

ლ. კერესელიძე